29/08/2022

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი მიტროპოლიტ კალისტეს (უეარი) გარდაცვალების გამო



**მის ყოვლადუწმინდესობას, ბართლომეოს I**

**კონსტანტინეპოლის, – ახალი რომის მთავარეპისკოპოსს**

**და მსოფლიო პატრიარქს**

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ,

გამოვთქვამთ ჩვენს დიდ გულისტკივილს მიტროპოლიტ კალისტეს (უეარი) გარდაცვალების გამო. ეს არის დიდი დანაკლისი თანამედროვე ღვთისმეტყველებისათვის.

იგი იყო პიროვნება, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა, ჩვენი დროის ადამიანები და, განსაკუთრებით, ახალგაზრდები დაეახლოვებინა უფლის გზისათვის და ღვთის შვილებად ექცია ისინი. მის ავტორიტეტულ სიტყვას მრავალი მსმენელი ჰყავდა, რადგან იგი მუდამ ცდილობდა, სიმართლის მსახური ყოფილიყო.

მადლობელი ვარ ღვთისა, რომ მაღალყოვლადუსამღვდელოეს კალისტეს პირადად ვიცნობდი და საქართველოშიც ვუმასპინძლეთ.

მიიღეთ ჩვენი სამძიმარი.

ვუსამძიმრებთ მეუფის მრავალრიცხოვან სამწყსოსაც და შევთხოვთ უფალს, სავანესა მართალთასა განუსვენოს მის უკვდავ სულს.

ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

**მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა,**

**მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის**

29.08.2022

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედანი 1
ტელ: (995 32) 2990378, 2989540

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi 0114
Tel.: (995 32) 2990378, 2989540

მის ყოვლადუწმინდესობას, ბართლომეოს I

კონსტანტინეპოლის, – ახალი რომის მთავარეპისკოპოსს

და მსოფლიო პატრიარქს

თქვენო ყოვლადუწმინდესობავ,

გამოვთქვამთ ჩვენს დიდ გულისტკივილს მიტროპოლიტ კალისტეს (უეარი) გარდაცვალების გამო, ეს არის დიდი დანაკლისი თანამედროვე ღვთისმეტყველებისათვის.

იგი იყო პიროვნება, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა, ჩვენი დროის ადამიანები და, განსაკუთრებით, ახალგაზრდები დაეახლოვებინა უფლის გზისათვის და ღვთის შვილებად ექცია ისინი. მის ავტორიტეტულ სიტყვას მრავალი მსმენელი ჰყავდა, რადგან იგი მუდამ ცდილობდა, სიმართლის მახლობელი ყოფილიყო.

მადლობელი ვარ ღვთისა, რომ მაღალყოვლადუსამღვდელოესს კალისტეს პირადად ვიცნობდი და საქართველოშიც ვუმასპინძლეთ.

მიიღეთ ჩვენი სამძიმარი,

ვუსამძიმრებთ მეუფის მრავალრიცხოვან სამწყსოსაც და შევთხოვთ უფალს, სავანესა მართალთასა განუსვენოს მის უკვდავ სულს.

ქრისტესმიერი სიყვარულითა და პატივისცემით

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა,

მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის

29.08.2022